# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 474

„18“ დეკემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 64-ე მუხლის „ა“ პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“და „ლ“ ქვეპუნქტების, 106¹-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნი, პირველი კარის II თავისა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 11 ნოემბრის №45.15.1288 განკარგულების საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს და მიეცეს თანხმობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ თბილისის მერიის ოლიმპიური მზადების კომპლექსური სპორტული ცენტრის ლიკვიდაციის თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე [signature] გიორგი ალიბეგაშვილი